განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკის
სადოქტორო პროგრამა

ვიზიტის თარიღი: 2019 წლის 29
ოქტომბერი

დასკვნის ჩაბარების თარიღი: 2019
წლის 3 დეკემბერი

თბილისი,
2019 წელი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის	სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი	424066977
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის დასახელება	ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ეკონომიკის დოქტორი, 0311
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი	აკრედიტებული 19.11.2014 წ.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მინდელ ვან დე ლაარი მაასტრიხტის უნივერსიტეტი / UNU-MERIT ნიდერლანდები
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მაია ბარამიძე კავკასიის უნივერსიტეტი თბილისი,
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნანა ფირცხელანი კავკასიის უნივერსიტეტი თბილისი,
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	

აკრედიტაციის დასკვნის რეზიუმე

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

  ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა შეიქმნა 2014 წელს. ფუნქციონირებიდან მოყოლებული პროგრამაზე ჩაირიცხა 14 სტუდენტი. პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტს 60 ECTS ეკვივალენტური დატვირთვით და კვლევით კომპონენტს 120 ECTS ეკვივალენტით. ჩარიცხული დოქტორანტები პროგრამაზე სწავლობენ ნახევარი დატვირთვით, ასევე, ყველა დასაქმებულია რეგიონში (უნივერსიტეტში ან გარე დამსაქმებლებთან).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**

  აკრედიტაციის მთელი გუნდი ეწვია უნივერსიტეტს 29 ოქტომბერს. ვიზიტის დროს შედგა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის დირექტორთან, პროგრამის დირექტორის მოადგილესთან, აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან. დღის ბოლოს, ყველა ჩართულ მხარისთვის შედგა ძირითადი დასკვნების მოკლე პრეზენტაცია.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტებთან და შექმნილია რეგიონში შესაძლებლობების განვითარების მიზნით. პროგრამა შეთავაზებულია დროულად და დაკომპლექტებულია სტუდენტებით. კვლევითი ფაზა დაწყებულია და ყველა სტუდენტს ჰყავს მოტივირებული ხელმძღვანელი. თუმცა, კურსდამთავრებულები პროგრამას ჯერ არ ყავს, რადგან, ძირითადად, კვლევითი საქმიანობისა და მუშაობის შერწყმა რთული გამოწვევაა.

  სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა:

  პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან სტანდარტის 1.1 კომპონენტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 1.2 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

  მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან კომპონენტები 2.1, 2.4 და 2.5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და 2.2, 2.3 და 2.6 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

  მესამე სტანდარტის ორივე 3.1 და 3.2 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან კომპონენტები 4.1, 4.3 და 4.4 შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 4.2 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან სტანდარტის 5.2 და 5.3 კომპონენტები შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან; სტანდარტის 5.1 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციების რეზიუმე**

შექმენით მონიტორინგისა და დამხმარე მექანიზმი, რომელიც სტუდენტებს საშუალებას მისცემს წარმატებით დაასრულონ კვლევის ეტაპი განსაზღვრულ დროში.

ჩამოყალიბდით ინვესტიციის საჭიროებებზე და პროგრამის საბოლოო მოლოდინებზე კვლევით ეტაპთან დაკავშირებით (მინიმალური დრო ინვესტიციისთვის), ისევე, როგორც ამ მოლოდინების შეუსრულებლობის შედეგებზე (შეჩერების, გაჩერების, გადატვირთვის წესების)
იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტებს უნდა ან მოსალოდნელია, რომ ასწავლოთ უნივერსიტეტში, მათთვის უზრუნველყავით დიდაქტიკური / სწავლების მეთოდებში ტრენინგი.

იქონიეთ განახლებული სილაბუსები, რომლებიც ასახავენ რეალურ საკითხებს და რეალურად გამოყენებულ სწავლის მეთოდებს. იმ შემთხვევაში, თუ ინგლისური ლიტერატურა ზოგიერთი სტუდენტისთვის / პერსონალისთვის ძალიან რთულია, დაამატეთ ქართული ალტერნატივები. სილაბუსში ჩართეთ თემატური სემინარი და დააკავშირეთ იგი სტუდენტის კვლევის ფაზასთან.

იფიქრეთ კეთილდღეობის მონიტორინგის მექანიზმებზე და შექმენით მომენტები / მექანიზმები, რათა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს, კვლევის ეტაპზე, კვლევის დასრულების უნარს. დოქტორანტის კეთილდღეობა მსოფლიოში ცნობილია, როგორც რთული საკითხი, რადგან დოქტორანტების მიმართ მოლოდინები და თვითკრიტიკა მაღალია. პროცესი წარმართეთ, როგორც კოგნიტურად, ისე მენტალურად.

ვინაიდან სადოქტორო პროგრამას 5 წლის განმავლობაში არ ჰყავს კურსდამთავრებული, წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები, უნდა შემუშავდეს ხელახლა და გაძლიერდეს პროგრამის შედეგების უზრუნველსაყოფად.

- **რჩევების რეზიუმე**

გაამკაცრეთ კვლევით შეთავაზებაში შესატანი, აპლიკაციის კრიტერიუმები. პროგრამის მიზნებში გააძლიერეთ რეგიონული აქცენტი. ეს აქცენტი უნიკალური და აქტუალურია,

მაგრამ იგი ჯერ კიდევ არაა პოზიციონირებული ამ პროგრამის ხერხემლად. განიხილეთ, რეგიონული ფოკუსი, როგორც ამ პროგრამაზე, საკვლევი თემებისთვის მოთხოვნად.

სტუდენტის კვლევითი ინტერესი ამჟამად მხოლოდ სამოტივაციო წერილშია მოთხოვნილი. მოითხოვეთ როგორც სამოტივაციო წერილი, რომლითაც ახსნიან, თუ რატომ ერთვებიან ისინი დოქტორანტურაში, ისე მოკლე კვლევითი წინადადება, თუ რამდენად შეესაბამება მათი იდეა პროგრამის ინტერესს. აგრეთვე, პერსონალს შეუძლია განსაზღვროს საინტერესო თემები, რომლებსაც მათი რეგიონისათვის მიიჩნევენ ღირებულად და ენდომებოდათ ხელმძღვანელობა. დამსაქმებლებისა და სტუდენტის თანამშრომლობა კვლევის ეტაპზე შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი სტიმული კვლევის დასასრულებლად. იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებლები შეძლებენ მონაცემების მიწოდებას, შეძლებენ სამუშაო დროის გამოყოფას კვლევისთვის ან შესთავაზებენ ანალიტიკურ მხარდაჭერას შესრულებული სამუშაოსთვის, სტუდენტმა შესაძლოა როგორც დამსაქმებლის, ისე უნივერსიტეტის მხრიდან კვლევისადმი დამატებითი ინტერესიდან სარგებელი მიიღოს.

თქვენ შეგიძლიათ გაითვალისწინოთ ეკონომიკის ძირითად თემებზე კურსების გათანაბრების შეთავაზება მათთვის, ვისაც არ აქვს მაგისტრის ხარისხი ეკონომიკაში. ინგლისური ენის B2 დონე მკაცრად უნდა იყოს მოთხოვნილი, რადგან დაბალი დონე ნაკლებად შესაძლებელს ხდის რთული კურსის შესწავლას. იმისათვის, რომ დადასტურდეს უცხო ენის B2 დონის შესაბამისობა, როგორც სადოქტორო პროგრამაში ჩაბარების წინაპირობა, ასევე მიზანშეწონილი იქნებოდა აისახოს უცხო ენის ცოდნის აუცილებლობა პედაგოგიური პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებშიც.

კარგი იქნებოდა მკაფიო კლასიფიკაცია იმისა, თუ რას მოელით სტუდენტებისაგან კვლევის შედეგების და პუბლიკაციების თვალსაზრისით, რათა მიიღოთ საკმარისი ხარისხის სადისერტაციო ნაშრომი. რეალურად, შეზღუდული პროგრესის მიღების შემთხვევაში პროგრამის შეჩერების ალტერნატივად უნდა იქნეს განხილული პროგრამაზე მიღების შეწყვეტა. დაადგინეთ, თუ რომელი უნარებია (softer skills) განსაკუთრებით გამოსადეგი დოქტორანტებისთვის და განიხილეთ ძირითად პერსონალთან, თუ რომელ კონკრეტულ კურსში ისწავლება ეს უნარები. გამოიყენეთ საუნივერსიტეტო უნარების შეთავაზება, რომლებიც სარგებელს მოუტანს მათ. ეს პოტენციურად შეიძლება იყოს ვარიანტი, რომ სასწავლო პროგრამა შეეთავაზოს არა ყოველწლიურად სამ სტუდენტს, არამედ ორ წელიწადში ერთხელ 6 სტუდენტს. ეს გაანახევრებდა სწავლების ხარჯებს და მოიტანდა სტუდენტებს შორის უფრო მეტ ურთიერთკავშირს ამ წლის განმავლობაში.

პროგრამის ხარისხის უკეთ შეფასების მიზნით, რელევანტური იქნებოდა კვლევის ეტაპზე დოქტორანტთა კეთილდღეობის შეფასების მექანიზმის შემუშავება და განხორციელება.

იმისდა მიუხედავად, რომ საუნივერსიტეტო სივრცეში გამოყოფილია სპეციალური ადგილი სასადილოსათვის, იგი ჯერ კიდევ საჭიროებს აღჭურვასა და მოვლა-პატრონობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი ადმინისტრაციული პერსონალი მუშაობს ამ საკითხის მოგვარებაზე.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

  უნივერსიტეტი მტკიცედ უჭერს მხარს როგორც პერსონალს, ისე დოქტორანტებს, რომ შეიძინონ ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.

  მაქსიმუმ 3 ადამიანზე გათვლილი კლასები, ინდივიდუალური სწავლება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებლებს უფრო კონკრეტულად ფოკუსირდნენ სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, წარმოადგენს კარგ მეთოდს. იგი მხოლოდ დროულად სწავლების საშუალებას იძლევა.

  ჩაერთეთ დოქტორანტები ERASMUS + სასწავლო პროგრამებში, ან ასწავლეთ მათ ამ პროგრამებში მიღებული უნარები.

  ტემპუსის საერთაშორისო პროექტის -"სტუდენტთა კარიერული მომსახურება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში" ფარგლებში (2012-2014 წწ.), უნივერსიტეტის კარიერული მომსახურების პერსონალმა გაიარა ტრენინგი; საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტში გამოიყო ახალი თანამდებობა, რომელიც ეხმარება სტუდენტებს მათი კარიერული წინსვლის კოორდინირებაში.

  დოქტორანტებისთვის უნივერსიტეტის შენობაში გამოყოფილია ფართი, სადაც მათ შეუძლიათ შეასრულონ თავიანთი კვლევითი საქმიანობა.

  ანალიტიკური უნარების განვითარებისადმი რეგიონული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ამჟამად უნივერსიტეტი აფინანსებს სწავლის მნიშვნელოვან ნაწილს. ეს მიდგომა მისასალმებელია, იგი სწორად მოიხმარს თანხებს. შესაძლებლობების განვითარებას ხშირად დიდი დრო სჭირდება, ხოლო ადმინისტრაციის მიერ ამ პროგრამის მხარდასაჭერად აღებული გრძელვადიანი ვალდებულება საშუალებას აძლევს პროგრამის გუნდს შეიმუშაოს კარგი პროგრამა.

- **აკრედიტებული პროგრამის შეთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის შეჯამება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან** პროგრამას აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება რეგულარულად.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა შეთავაზებულია ადგილობრივი პერსონალისა და სტუდენტების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, ეკონომიკისა და რეგიონის განვითარების საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში. სადოქტორო დისერტაციის თემები, წახალისებულია, რომ კონცენტრირდეს რეგიონისთვის სოციალურად მნიშვნელოვანი თემების მოგვარებაზე, ასევე დასაქმების ურთიერთობები დამყარდა ადგილობრივ, მთავარ დაწესებულებასთან, არსებული შრომის ბაზართან კავშირების გასაძლიერებლად. რეგიონი პოლიტიკურად მგრძნობიარე და ეკონომიკურად ღარიბია. გააკეთეთ ისე, რომ სადოქტორო პროგრამამ მისცეს სტუდენტს, შესაბამისი ადგილობრივი თემების შესწავლისა და ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერების შესაძლებლობა. ამ პროგრამაში ჩარიცხული სტუდენტები, მართლაც, ყველა მუშაობს რეგიონთან დაკავშირებულ თემებზე და დასაქმებულნი არიან ადგილობრივ დაწესებულებებში ან უნივერსიტეტში. მათგან დაახლოებით ნახევარი ჩაირიცხა სადოქტორო პროგრამაზე და ამის საფუძველზე დასაქმდა შესაბამის ანალიტიკურ პოზიციაზე დაწესებულებაში, ხოლო მეორე ნახევარი დასაქმებული იყო და შემდეგ გადაწყვიტა პროგრამაზე ჩაბარება. პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებულები, ამიტომ შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რამდენად შეესაბამება მათი საგანმანათლებლო მიმართულება ადგილობრივ საჭიროებებს. თუმცა, როგორც უნივერსიტეტმა, ისე ადგილობრივმა დამსაქმებლებმა გამოთქვეს სურვილი, რომ დაასაქმონ ანალიტიკური უნარების მქონე სტუდენტები. პროგრამის მიზანი და სასწავლო კომპონენტი კარგად შეესაბამება ერთმანეთს. პროგრამის კვლევითი ნაწილის სტრუქტურა და ხანგრძლივობა უნდა დაზუსტდეს და შეფასდეს, რათა უკეთესად მოხდეს სტუდენტთა ინფორმირება იმის თაობაზე, თუ რა არის საჭირო გონივრულ ვადაში პროგრამის დასამთავრებლად და იმისათვის, რომ ეს გახდეს შესაძლებელი. ინტერნაციონალიზაციის დონე / ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია, სავარაუდოდ, თანამშრომელთა და სტუდენტთა ინგლისური ენის ცოდნის სიმწირის გამო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა ეკონომიკაში
- პროგრამის დიზაინისა და შემუშავების მეთოდოლოგია (PDF, დანართი 8, ქართული)
- თვითშეფასების ანგარიში (ინგლისური/ქართული ვერსიები, pdf)
- სჯსუ-ს მისია და სტრატეგია (;http://www.sjuni.edu.ge/ge/en/mission-2/ http://www.sjuni.edu.ge/ge/მისია-2/)
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ((PDF, დანართი 12, ქართული)
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა ანალიზი
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს
- ვებ-გვერდი: http://www.sjuni.edu.ge

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

ჩვენ გირჩევთ, რომ გაძლიერდეს რეგიონული აქცენტი პროგრამის მიზნებში. ეს აქცენტი უნიკალური და აქტუალურია, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არაა პოზიციონირებული ამ პროგრამის ხერხემლად. იგი შეიძლება ითვალისწინებდეს კვლევის რეგიონულ ფოკუსს/აქცენტს რელევანტურ თემაზე, რაც კვლევის თემატიკის შესწავლისას აუცილებელი მოთხოვნაა ამ პროგრამაში. ამრიგად, ჩვენ გირჩევთ, რომ კვლევითი წინადადების შეფასებაც დაერთოს პროგრამაზე მიღების მოთხოვნებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ადგილობრივი რელევანტურობა და ასევე, კვლევითი წინადადებების შეფასება 1 წლის (აკადემიური წლის) შემდეგ იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს კვლევის სიცოცხლისუნარიანობა 2 წლის განმავლობაში.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის 8 სწავლის შედეგი აღწერს კონკრეტულ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც უნდა იქნას მიღწეული პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს.

პროგრამა მოიცავს დახვეწილ სწავლის ფაზას, მათ შორის ძირითადი კურსების შინაარსს, არჩევით საგნებს და დამატებით სასწავლო ელემენტებს. სწავლის ამ ფაზას 1 წელი სჭირდება და სტუდენტები ამ ეტაპის დასრულებაში რაიმე მნიშვნელოვან პრობლემებს არ აწყდებიან. პროგრამის კვლევის ფაზა მოიცავს ჩატარებულ კვლევას. ეს ფაზა ნაკლებად არის სტრუქტურირებული, და დღემდე არ დასრულებულა წარმატებით. ყველა სტუდენტს ჰყავს ხელმძღვანელი და კვლევის ყველა ეტაპი დაწყებულია. იგი ჯერ არავის დაუსრულებია და არაფორმალურად ცნობილია, რომ ამ ეტაპის შეფასება ან გაუმჯობესება ოფიციალურად არ განხორციელებულა.

თანამშრომლებისა და სტუდენტების მიერ გაზიარებულმა ინფორმაციამ დაადასტურა, რომ ყველა საკურსო ნამუშევარის შეთავაზება განხორციელდა დროულად, სწავლის პროცესი შემოწმდა და სწავლის აღნიშნული ეტაპი, ყველა სტუდენტის მიერ, დასრულდა წინასწარ განსაზღვრულ დროში. თუმცა, სტუდენტებთან ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ ამ ეტაპზე, კვლევითი ფაზის დასასრულებლად, დროის ინვესტიცია არის მთავარი დაბრკოლება. 120 ECTS ექვივალენტის დატვირთვით, კვლევის ფაზის დასრულების ნომინალური დრო არის დაახლოებით 2 წელი. თუმცა, სტუდენტები მუშაობენ ნახევარ ან სრულ განაკვეთზე. შედეგად, მათ ნაკლები დრო აქვთ სწავლაზე აქცენტის გადატანისთვის, რისი შედეგიცაა კურსდამთავრებულების არარსებობა 5-წლიანი პერიოდის განმავლობაში. უნივერსიტეტი და სტუდენტები შეთანხმდნენ, რომ სტუდენტებს შეუჩერდებოდათ სტატუსი მოკლე დროის განმავლობაში ან ხანგრძლივად, რაც მათ მისცემდა სწავლის დამთავრების საშუალებას. სტუდენტს სტატუსის შეჩერების პერიოდში არ მოეთხოვება სწავლის გადასახადი, მაგრამ სთავაზობენ ხელმძღვანელობას და უნივერსიტეტის მხარდაჭერას. რამდენი ხნით და რამდენად ხშირად შეიძლება სტუდენტს შეუჩერდეს სტატუსი, ასევე კურსის დასრულების შემდეგ რა დრომდე შეუძლია თავიდან დაიწყოს თეზისზე მუშაობა, უცნობია. ამ დრომდე არცერთი სტუდენტისათვის არ უთხოვიათ სწავლის შეჩერება.

კვლევის ფაზა განიმარტოს უკეთ. დოკუმენტებიდან ნათელია, რომ კვლევის დატვირთვა 120 ECTS– ს შეადგენს. პროგრამის დასრულებისთვის ოპტიმალური ვადად დადგენილია სამი წელიწადი, ხოლო მაქსიმალურ- 5 წელი. 5 წლის შემდეგ მიღებული შედეგების შეფასებიდან ნათელია, რომ სტუდენტებმა ვერ შეძლეს სადოქტორო პროგრამის დასრულება მაქსიმუმ 5 წლის განმავლობაში.

დოქტორანტურის დატვირთვა ან სადოქტორო დისერტაციის ხარისხი არ უნდა შემცირდეს, თუ სტუდენტები ასრულებენ თავიანთ სადოქტორო კვლევას ნახევარ განაკვეთზე. ხარისხის სტანდარტები და მოთხოვნები დადგენილია და ისინი უნდა დაკმაყოფილდეს ხარისხის მოსაპოვებლად. მაინც, კარგი იქნებოდა უფრო ნათლად მიეწოდოს ინფორმაცია სტუდენტებს, რომ ნახევარ განაკვეთიანი დატვირთვით კვლევაზე მუშაობა ნიშნავს სასწავლოს პროცესის გახანგრძლივებას. როგორც პროგრამაშია მითითებული, კვლევაზე კვირაში 40 საათის განმავლობაში მუშაობა უდრის 2-წლიან კვლევას, რასაც ჯამში მივყავართ 3-წლიან პროგრამამდე (1 წელი კურსის საგნები, 2 წელი კვლევა). ეს ნიშნავს, რომ კვირაში 20 საათის ინვესტიციით, კვლევის ფაზას დასჭირდება დაახლოებით 4-წლიანი კვლევა, რაც პროგრამის ხანგრძლივობას ზრდის 5 წლამდე. სტუდენტთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ კვირაში 10 საათს ხარჯავდნენ თავიანთ კვლევებზე, რაც, სავარაუდოდ, გამოიწვევს კვლევის პერიოდის 8 წლამდე გაზრდას კვლევითი ფაზის დასასრულებლად, ხოლო მთლიანობაში პროგრამის ხანგრძლივობა იქნება 9 წელი. ზოგიერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ კვირაში 5 საათზე ნაკლებს მუშაობს თავის კვლევაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ კვლევის ეტაპის დასრულებას დასჭირდება მინიმუმ 16 წელი. პროგრამის დირექტორებმა

სტუდენტი კვლევას. გარდა ამისა, მიზანშეწონილია, წინასწარ გარკვევით მოხდეს სტუდენტთა ინფორმირება ისეთი მარტივი მაგალითებით, როგორებიც ზემოთაა მოყვანილი, რომ მათი დროის ინვესტიცია არის მთავარი ფაქტორი პროგრამის სწრაფად დასრულებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვესმის, პროგრამის მენეჯმენტი ვერ განსაზღვრავს, თუ რამდენ დროს დაუთმობენ მუშაობას და რამდენ დროს დახარჯავენ სწავლაზე, მათ უნდა იცოდნენ დროის არასაკმარის ინვესტირების მოსალოდნელი შედეგები. და ბოლოს, სპეციფიკაციებმა ნათლად უნდა ასახოს სტატუსის შეჩერების წესები, რა არის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური დასაშვები ვადა, რას ნიშნავს 5-წლიანი მაქსიმალური დასწრება სტატუსის შეჩერებასთან მიმართებით (შედის თუ არა სტატუსის შეჩერების პერიოდი მაქსიმალურ დროში) და სწავლების ეტაპის დასრულების შემდეგ რა დროში მოეთხოვებათ სტუდენტებს კვლევითი ეტაპის დასრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა ეკონომიკაში • პროგრამის დანართები (1, 2, 3, 4, 5. ქართული. MS Word) • თვითშეფასების ანგარიში (ინგლისური/ქართული ვერსიები, pdf) • სილაბუსები • ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს
რეკომენდაციები: • შექმენით მონიტორინგისა და დამხმარე მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მიცემს სტუდენტებს წარმატებით დაასრულონ კვლევის ეტაპი განსაზღვრულ დროში. • ჩამოყალიბდით ინვესტიციის მოთხოვნებზე და პროგრამის საბოლოო მოლოდინებზე კვლევით ეტაპთან დაკავშირებით (ინვესტიციის მინიმალური დრო), ისევე, როგორც ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის მოსალოდნელ (შეჩერების, შეჩერების, გადატვირთვის წესების) შედეგებზე • იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტებს უნდა ან მოსალოდნელია, რომ ასწავლოთ უნივერსიტეტში, უზრუნველყავით დიდაქტიკური / სწავლების მეთოდებში მათთვის ტრენინგი.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთ	მეტწილად შესაბამისობ აშია	ნაწილობრივ შესაბამისობა შია	არ შეესაბამება მოთხოვნებს
საგანმანათლებლ ო პროგრამების მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის საშუალება აქვს სხვადასხვა სფეროში განათლების მქონე სტუდენტებს. ეს ნიშნავს, რომ პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია ეკონომიკის BA / BSc ან MA / MSC- ს გარეშე. სასარგებლო იქნება იმის გადამოწმება, თუ რა უნარები აქვთ და რამდენად გამოცდილები არიან ისინი საბაზისო ეკონომიკურ კომპონენტში (ჩვენ არ გვინახავს მისაღები ტესტი, შესაბამისად, არ ვიცით ეს ცოდნა შემოწმებულია თუ არა - მათ ჩაბარებული აქვთ ზეპირი ტესტი ქართულად). იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი ეკონომიკური უნარები იქნება პროგრამის მოთხოვნა მიღების ეტაპზე, შეიძლება კარგი იყოს განაცხადის კრიტერიუმებში მათი (მოთხოვნების) დაკონკრეტება, რომ იღებთ მხოლოდ BA / MA ხარისხის მქონე პირებს შემდეგ მიმართულებებში: ეკონომიკა / საჯარო პოლიტიკა / ბიზნესის ადმინისტრირება / ეკონომეტრიკა, თუმცა პოტენციურად არ გამორიცხავთ პოლიტიკურ მეცნიერებებს / სოციოლოგიას/ ფსიქოლოგიას/ სამართალს. მიუხედავად იმისა, რომ არ გვაქვს რჩევა იმის თაობაზე, თუ რა იქნება უმჯობესი, გირჩევთ, დაადგინოთ ნათელი დაშვების კრიტერიუმები თუ, რომელი დისციპლინა იქნება პროგრამაზე მოსახვედრად შესაბამისი. სავარაუდოა, რომ სამოტივაციო წერილში მითითებული სტუდენტის კვლევის ინტერესი, შეიცვლება შემდგომი სასწავლო კურსის მიმდინარეობისას. კერძოდ, კვლევის მეთოდებსა და ეკონომეტრიკაში მიღებული ცოდნა გადამწყვეტი იქნება წინადადების შემუშავებისთვის. ეს შეიძლება იყოს სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ წინადადების შემუშავების / შეცვლის / პრეზენტაციის ვარიანტი, რომელშიც ხელმძღვანელები და სტუდენტები გადაწყვეტენ, თუ რას მოიცავს მათი კვლევითი კომპონენტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში (ინგლისური/ქართული ვერსიები, pdf)
- ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (PDF, ქართული)
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- სტუდენტის კვლევითი ინტერესი ამჟამად, მხოლოდ, სამოტივაციო წერილშია მოთხოვნილი. ეკონომიკური დისციპლინის რეგიონულ განვითარებაზე ყურადღების მკაცრად გამახვილებით, აუცილებელი იქნება სტუდენტის პრიორიტეტის შესახებ ინფორმაციის ქონა და იმის შესაძლებლობა, რომ მათ კვლევის თემაზე დაყრდნობით შეირჩეს ან უარი ეთქვას პროგრამაზე მიღების შესახებ. მოითხოვეთ როგორც სამოტივაციო წერილი, რომლითაც აპლიკანტი ახსნის, თუ რატომ ერთვება დოქტორანტურაში, ისე (მოკლე) კვლევითი შეთავაზებაც, რათა დადგინდეს მისი იდეის ოპტიმალური შესაბამისობა პროგრამის ინტერესებთან.
- ინგლისური ენის B2 დონე მკაცრად უნდა იყოს მოთხოვნილი, რადგან უფრო დაბალი დონე ნაკლებად შესაძლებელს ხდის რთული კურსის შესწავლას.
- დამსაქმებლებისა და სტუდენტის თანამშრომლობა კვლევის ეტაპზე შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი სტიმული კვლევის დასასრულებლად. იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებლები შეძლებენ მონაცემების მიწოდებას, შეძლებენ სამუშაო დროის გამოყოფას კვლევისთვის ან შესთავაზებენ ანალიტიკურ მხარდაჭერას შესრულებული სამუშაოსთვის, სტუდენტი შეძლებს როგორც დამსაქმებლის, ისე უნივერსიტეტის მხრიდან კვლევისადმი დამატებითი ინტერესიდან სარგებლის მიღებას.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უნივერსიტეტი მტკიცედ უჭერს მხარს როგორც პერსონალს, ისე დოქტორანტებს, რომ შეიძინონ ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინისა და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან. პროგრამის რევიზია განხორციელდა ამ შეფასებისთვის, ხოლო ახალ სტუდენტებს შესთავაზებენ შემდეგი სახით: პროგრამის მთლიანი მოცულობა 180 კრედიტი (3 წლიანი სრული დატვირთვა). **პროგრამის სასწავლო კომპონენტი (1 წლიანი სრული დატვირთვა):** ძირითადი საგნები - 35 კრედიტი; არჩევითი საგნები - 5 კრედიტი; პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი - ძირითადი, თემატური სემინარი - 15 კრედიტი - ძირითადი. **პროგრამის კვლევითი კომპონენტი - 120 კრედიტი (2 წლიანი სრული დატვირთვა).** სასწავლო კომპონენტის ძირითადი კურსები კარგად არის განსაზღვრული დეტალური სილაბუსების ფორმით. კურსების ლიტერატურა, ძირითადად, შეესაბამება სადოქტორო პროგრამებში შეთავაზებულ ლიტერატურას და საკმარისია კურსის კრედიტების მოპოვებისთვის. სილაბუსში მოცემული კურსის აღწერა, ასევე, მოიცავს მკაფიო ინფორმაციას შეფასების ფორმების შესახებ. თუმცა, ჩვენთვის მოწოდებული კურსები არ იყო შეთავაზებული წინა წლებში, არამედ განკუთვნილი იყო პროგრამის შემდეგი ეტაპისათვის. ამრიგად, ჩვენ ჯერ არ ვიცით, რამდენად კარგად გაართმევენ თავს სტუდენტები ამ საგნებს. თემატური სემინარი არ არის მკაფიოდ განსაზღვრული. პროგრამის კვლევითი კომპონენტი ჯერ არ არის აღწერილი საკონტროლო ნიშნებით, პროგრესის მარკერებით და წარმატების ან წარუმატებლობის ინდიკატორებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: საგანმანათლებლო პროგრამა შემდეგი რაუნდისათვის; სილაბუსები შემდეგი რაუნდისათვის; სტუდენტთა გამოკითხვა გამოთხოვილი დამატებითი ინფორმაცია კურსზე ჩარიცხვის და სტუდენტთა პუბლიკაციების შედეგზე გამოთხოვილი დამატებითი ინფორმაცია სტუდენტთა მიერ კურსების ათვისებაზე (ჩაბარება, გადაბარება, ჩაჭრა). ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

სასწავლო კურსის, მათ შორის ლექციებისა და ჯგუფური დისკუსიების განხორციელება სწავლების სხვადასხვა მეთოდებით, პრაქტიკულად ტარდება სილაბუსებში მითითებულისაგან განსხვავებულად. (ანუ, ჩვენთვის მოწოდებული იყო განახლებული პროგრამის სილაბუსები, რომლებსაც შეთავაზებენ მომავალი წლიდან). 3 ადამიანამდე დაკომპლექტებულ, მცირე ჯგუფებში ზოგიერთი ჯგუფური ფორმატი არ იმუშავებს. ასევე, ლექციები შეიძლება იყოს დროის არაეფექტური ხარჯვა მასწავლებლებისთვის, ხოლო ინდივიდუალური განხილვის სესიები შეიძლება წარმოადგენდეს უკეთეს ფორმატს. სილაბუსი უნდა ასახავდეს იმას, რაცაა შეთავაზებული სტუდენტებისათვის. თუ პერსონალი აღმოაჩენს, რომ აღწერილი მეთოდები, რაიმე მნიშვნელოვანი მიზეზის გამო არ მუშაობენ, სილაბუსი უნდა იყოს შესწორებული, რათა მოიცვას ის, რაც არის შესრულებული.

მაღალი დონის ინგლისური ლიტერატურა გამოწვევას წარმოადგენს პერსონალისა და სტუდენტებისთვის, ენასთან დაკავშირებული პრობლემების გამო. ხშირია ქართული თარგმანების გამოყენება (google translate გამოყენებით, რაც არ არის იდეალური), ან გამოიყენება ალტერნატივები ქართულ ენაზე. სილაბუსი მინიმუმ უნდა შეიცავდეს ალტერნატიული ქართული ლიტერატურის სექციას დამატებით სავალდებულო ინგლისურ ენოვან ლიტერატურაზე, თუ მთელი პერსონალი / სტუდენტები არ ფლობენ ინგლისურ ენას B2 დონეზე. მიღებულია, რომ უკეთესი იქნება, თუ პროგრამაზე დაშვებაში ენისადმი მოთხოვნა გამკაცრდება.

თემატური სემინარი, რომელსაც დიდი დატვირთვა აქვს - 15 ECTS კრედიტი, არ შედის სილაბუსში. რამდენადაც გვესმის, ახლა ის ასევე არ არის ძლიერად დაკავშირებული იმ კვლევასთან, რომლის განხორციელებასაც აპირებს დოქტორანტი. თუმცა, რადგანაც თემატური სემინარი მიზნად ისახავს პროფესორის ხელმძღვანელობით კვლევითი უნარების განვითარებას / გაწვრთნას, ყველაზე გამოსადეგი იქნებოდა თუ დოქტორანტი ამას გააკეთებდა საკუთარი დისერტაციის თემის ფარგლებში, რითაც ხელს შეუწყობდა წინადადებების შემუშავებას, ლიტერატურის მიმოხილვას ან უკვე იქნებოდა კვლევის ნაწილი. ამრიგად, ჩვენ გირჩევთ, რომ თემატური სემინარის მიზნები, აქტივობები და შედეგები მკაფიოდ იყოს განსაზღვრული სილაბუსში და უკავშირდებოდეს სადოქტორო კვლევას.

კვლევის ეტაპი ამჟამად არის ის ეტაპი, სადაც სტუდენტები განიცდიან ყველაზე მეტ სირთულეს. ამჟამინდელი გამოსავალი - სტატუსის შეჩერება უზრუნველყოფს, რომ კვლევის მიმდინარეობის შეფერხების გამო არ არსებობდეს ფინანსური შედეგები, მაგრამ ეს ვერ აგვარებს აკადემიურ პრობლემას, რადგან სტუდენტებს უჭირთ ხარისხის მოპოვება პროგრამის მიერ განსაზღვრულ დროში (3-5 წელი). პროგრამა უნდა შეიცავდეს უფრო მკაფიო სემესტრულ საკონტროლო ნიშნულებს, ასევე რეაგირებას გარკვეულ ვადებში საკონტროლო ნიშნულების შეუსრულებლობისას. უნდა შემუშავდეს მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სტუდენტებს მათი საკონტროლო ნიშნულების მიღწევაში. მეტი სიცხადეა საჭირო, თუ შეფერხებები გამოწვეულია კვლევაში დროის ინვესტიციის ნაკლებობით, მონაცემთა ნაკლებობით, მონაცემთა შეგროვების ვადის გაგრძელებით, საკმარისად მაღალი ხარისხის ლიტერატურის ნაკლებობით, ხელმძღვანელების მხრიდან უკუკავშირის არარსებობით, სამუშაოს შეცვლით, ოჯახური სიტუაციებით და ა.შ. შეფერხების მიზეზების ცოდნის გარეშე, ძნელია იმის დადგენა, თუ რომელი შემთხვევების მოგვარება შეიძლება პროგრამის ფარგლებში და რომელი შემთხვევებია პროგრამის კონტროლის მიღმა.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
კურსების რევიზია, კვლევის მეთოდოლოგიისა და ეკონომეტრიული მეთოდების ჩათვლით.

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.3 კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კურსები, როგორც ეს სილაბუსებშია მითითებული, მოიცავს სადოქტორო დონის ლიტერატურას ეკონომიკაში, საერთაშორისო სადოქტორო პროგრამების სტანდარტების შესაბამისად. ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის ბიბლიოთეკის მეშვეობით. სტუდენტები გადიან კურსებს დამაკმაყოფილებლად. ძირითადი საგნების, თითოეულის მოცულობაა 5 კრედიტი (125 საათი). ისინი მოიცავენ ლიტერატურის ჩამონათვალს, კურსების სტრუქტურასა და შეფასების მეთოდებს. კურსების აღწერა 10 კურსისათვის არის განახლებული და თანხვედრაშია ამჟამინდელ სასწავლო მასალებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: კურსებზე ჩარიცხვისა და დასრულების ჩამონათვალი (ქართულად); სადოქტორო პროგრამის აღწერილობა ახლად შექმნილი კურსების სილაბუსები ბიბლიოთეკაში ვიზიტი და ბიბლიოთეკის სერვისების ახსნა, ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს პროგრამის დანართები 2-3-4 (ქართულად)
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

მკაცრად რომ ვთქვათ, ეკონომიკის სადოქტორო პროგრამას არ ესაჭიროება დიდაქტიკური კურსების ან უნარების სწავლება. თუმცა, ამ პროგრამის შემთხვევაში, მისი მიზანია სტუდენტების მომზადება, რათა გახდნენ უნივერსიტეტის პერსონალი. თუ დოქტორანტებს სთხოვენ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში ასევე ასწავლონ ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სტუდენტებს, მაშინ მათთვის დიდაქტიკური სწავლების შეთავაზება იქნება აუცილებელი. კურსების "უმაღლესი განათლების მენეჯმენტი" და "სწავლების თანამედროვე მეთოდები" ამოღებულია ძირითადი კურსების სიიდან. ეს კარგია იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც არ ასწავლიან, მაგრამ ჩვენ ვურჩევდით იმ დოქტორანტებს, რომლებიც აპირებენ რომ ასწავლონ, რომ ჩაერთონ სხვა მასწავლებლებისათვის შეთავაზებულ სწავლის მეთოდებში / დიდაქტიკურ ტრენინგში, რათა გაამლიერონ მათი სწავლების უნარი.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მაქსიმუმ 3 კაციანი ჯგუფებისათვის, ლექციები და საკლასო სესიები შეიძლება არ იყოს სწავლების ყველაზე ეფექტური გზა. პერსონალმა გვითხრა, რომ ისინი სწავლების დროს / ფორმატს არგებენ უფრო ინდივიდუალურ სწავლებაზე, რაც მათ საშუალებას აძლევს უფრო კონკრეტულად გაამახვილონ ყურადღება დოქტორანტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. (ზუსტად სწავლების დროს)

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

სილაბუსების გადახედვა, რათა კურსები სრულად შეესაბამებოდეს სადოქტორო პროგრამის სტანდარტებს.

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და

პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამისად სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ ჩართვას კვლევით პროექტებში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სილაბუსში, კურსის შეთავაზების ფარგლებში, უნარების განვითარებას ეთმობა ადგილი. დასმულ კითხვაზე, თუ რომელი უნარები განიხილებოდა დოქტორანტებისთვის ყველაზე რელევანტურად და როგორ იყო პერსონალი ფოკუსირებული უნარების განვითარებაზე ამ კურსების ფარგლებში, არ იყო მკაფიო პასუხი. ამასთან, უნივერსიტეტებში მიმდინარეობს კურსები უნარების განვითარებისთვის, რომელიც ასევე, ხელმისაწვდომი იქნება დოქტორანტებისათვის.
როგორც უკვე აღინიშნა, დიდაქტიკური უნარები ჯერ კიდევ არ არის კურიკულუმის ნაწილი. კვლევის უნარები, კერძოდ, კვლევის დიზაინი და წერის მეთოდები შედის ძირითად კურსებში და თითოეული მათგანი მოიცავს 5 ECTS-ს (125 საათს). შეძენილი უნარების პრაქტიკა ხორციელდება პროფესორის ასისტირების პერიოდში (5 ECTS) და კვლევის ეტაპზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს
- უნარების პაკეტის დემონსტრირება

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

დაადგინეთ, თუ რომელი უნარებია (მაგალითად, პრეზენტაციის, აკადემიური წერის, ლიტერატურის ძიების, ლიტერატურის ანალიზის) განსაკუთრებით გამოსადეგი დოქტორანტებისთვის და განიხილეთ ძირითად პერსონალთან, თუ რომელ კონკრეტულ კურსში ისწავლება ეს უნარები.

გამოიყენეთ საუნივერსიტეტო უნარების შეთავაზება, რომლებიც სარგებელს მოუტანს სტუდენტებს. სემესტრულ შეფასებაზე საუბრისას, შესაძლებელია ინდივიდუალური მსჯელობა დოქტორანტთან, თუ რომელი უნარი აქვს გასაძლიერებელი

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ჩაერთეთ დოქტორანტები ERASMUS + სასწავლო პროგრამებში, ან ასწავლეთ მათ ამ პროგრამებში მიღებული უნარები.

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.5 სწავლებისა და სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტები ავითარებენ სწავლების პრაქტიკულ უნარებს, ძირითადად, *პროფესორის ასისტენტობის* კურსის გავლით, რომლის განმავლობაშიც დოქტორანტი ვალდებულია დაეხმაროს აკადემიურ პერსონალს და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში. კურსების აღწერა ძირითადად მოიცავს ლექციებს და ჯგუფურ დისკუსიებს, როგორც მეცადინეობის მთავარ ფორმატს. სამ სტუდენტიანი, მცირე ზომის კლასების გამო, რეალურად უფრო მცირე განხილვის სესიებია გამოყენებული და სწავლების ბევრი დამატებითი ფორმატი არაა გამოყენებული. კლასის სიდიდის გათვალისწინებით ეს გონივრულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • აკადემიური პროგრამა და სულაბუსები; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ადგილზე ვიზიტისას
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.6 სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შეფასების მექანიზმები კარგად ორგანიზებულია და ზოგადად მოქმედებს უნივერსიტეტის მასშტაბით, ისინი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნილ სტანდარტებთან. პროგრამის საგანმანათლებლო და სამეცნერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება 100-ქულიანი სისტემით. აკადემიური კურსი ითვლება დაძლეულად, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასების ქულაა 51% ან მეტი. პროგრამის სასწავლო კომპონენტის გათვალისწინებით, სტუდენტების შეფასება ემყარება მათ დასწრებას მეცადინეობებზე და აკადემიურ მოსწრებას სემესტრის განმავლობაში, რამდენიმე შუალედურ დავალებას (პრეზენტაციების, პროექტების, წერითი დავალებების, შუალედური გამოცდების და ა.შ. ფორმით) და საბოლოო შეფასებების ნიშნებს. სხვადასხვა დავალებებზე ნიშნების განაწილება დამოკიდებულია კურსის ხასიათზე, მაგრამ ყველა შემთხვევაში, მკაფიო რუბრიკა მოცემულია კურსის სილაბუსში. Moodle-ის ონლაინ სისტემები საშუალებას აძლევს სტუდენტებს ყურადღებით დააკვირდნენ თავიანთ შეფასებას, ამიტომ იგი გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია. სტუდენტებს აქვთ ხმა პროგრამის განახლების პროცესში და მათი სურვილები გათვალისწინებულია ახალი პროგრამის დიზაინში. შეფასებების სქემა ჩამოყალიბებულია საქართველოში უმაღლესი განათლების რეგულაციების შესაბამისად, რომლის თანახმადაც სტუდენტს კურსი ეთვლება ჩაბარებულად, თუკი ყველა შეფასების მეთოდით აგროვებს მთლიანი ქულების 51%-ზე მეტს. თითოეული კურსისათვის სტუდენტებს მოეთხოვებათ შუალედურ შეფასებაზე ქულების გარკვეული რაოდენობის დაგროვება, რათა დაიშვან საბოლოო გამოცდაზე და დააგროვონ ქულების არანაკლებ 51%-ს დასკვნით გამოცდაზე. სტუდენტებმა, რომელთა საერთო შეფასება 41-50 ქულაა, ვერ გაიარეს კურსი, თუმცა მათ ეძლევათ კიდევ ერთი შესაძლებლობა, ჩააბარონ საგანი. დოქტორანტის თემატური სემინარი ფასდება 100-ქულიანი სისტემით. დისერტაციის შეფასება უნდა განხორციელდეს იმავე ან შემდეგ სემესტრში, როცა სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სადისერტაციო ნაშრომი ფასდება მხოლოდ ერთხელ (საბოლოო შეფასება) შესაბამისი კრიტერიუმებით. სტუდენტსა და პროფესორს შორის მიღწევების მონიტორინგს ახორციელებს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც განსაზღვრავს, წარმოადგინა თუ არა ლექტორმა კურსის სასწავლო გეგმა, შეფასების კრიტერიუმების და შინაარსის დეტალური აღწერა სასწავლო კურსის დასაწყისში და რა დოზით დაიცვა მან სილაბუსის შინაარსი, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კურსის სილაბუსები
- პროგრამის აღწერილობა
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუები სტუდენტებთან

რეკომენდაციები: იფიქრეთ კეთილდღეობის მონიტორინგის მექანიზმებზე და შექმენით მომენტები / მექანიზმები, რათა კონკრეტული ყურადღება გამახვილდეს კვლევით ფაზაში კვლევის დასრულების უნარზე. დოქტორანტის კეთილდღეობა საკმაოდ რთული საკითხია მსოფლიო მასშტაბით, რადგან დოქტორანტების მოლოდინები და თვითკრიტიკა მაღალია. წარმართეთ პროცესი როგორც კოგნიტურად, ისე მენტალურად.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან □ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთა	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3,1. სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სტუდენტთა ხელშეწყობისათვის აუცილებელი მომსახურებები უნივერსიტეტში ხორციელდება. სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევითი სტიპენდიების მოპოვებაში, ასევე, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. იმის გამო, რომ დოქტორანტების უმეტესობა სხვადასხვა სააგენტოებისა და კომპანიების დამსაქმებელია, ისინი ფაქტიურად არ იყენებენ საერთაშორისო გაცვლით შესაძლებლობებს. ამავდროულად, დოქტორანტებს შეუძლიათ ინდივიდუალური კონსულტაციის მიღება პროგრამის პერსონალისაგან და უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელისაგან, როგორც აკადემიურ, ისე ორგანიზაციულ საკითხებზე. აკადემიური პერსონალის საკონსულტაციო დღეები და საათები განთავსებულია ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე. სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის შეფასება და მისი გაუმჯობესება ხდება სტუდენტური კვლევების საფუძველზე, რომელსაც ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის გამოყოფილია სპეციალური ადგილი მომსახურების მისაღებად. ამასთან, ინფორმაციას უნივერსიტეტის საერთაშორისო ღონისძიებებზე ასაჯაროებს სამცხე – ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის და სპორტისა და კულტურის განყოფილებები. ყველა საჭირო ინფორმაცია სტუდენტებისთვის განთავსდება უნივერსიტეტის ოფიციალური ვებსაიტზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში; • ადგილზე ვიზიტი; • აკადემიური პროგრამა; • სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება N35, 14.06.2019) • კარიერის მართვის სახელმძღვანელოები, ფლაერები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ტემპუსის საერთაშორისო პროექტის -"სტუდენტთა კარიერული მომსახურება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში" ფარგლებში (2012-2014 წწ.), უნივერსიტეტის კარიერული მომსახურების პერსონალმა გაიარა ტრენინგი; საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტში გამოიყო ახალი თანამდებობა, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს მათი კარიერული წინსვლის კოორდინირებაში.

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ამ კუთხით პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს. ყველა დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი და თუ საჭიროა, ერთზე მეტი თანახელმძღვანელიც, რომელთაც აქვთ ნაშრომის თემის რელევანტური სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელების უფლება-მოვალეობებს და ხელმძღვანელობის პროცესს. ხელმძღვანელები რეგულარულად უწევენ კონსულტაციებს სტუდენტებს. დოქტორანტი შეიმუშავებს ინდივიდუალურ კურიკულუმს სამეცნიერო ხელმძღვანელთან ან შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან(ებთან) შეთანხმებით. თანამშრომლები და სტუდენტები მიუთითებენ, რომ ხელმძღვანელების შერჩევა დისერტაციის თემების მიხედვით არ არის რთული. ხელმძღვანელები მზად არიან მხარდაჭერისა და შესაბამისი უკუკავშირის გასაწევად. ხელმძღვანელების შეცვლა შესაძლებელია. სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია, თუ როგორ მიმართონ ადმინისტრაციას საჭიროების შემთხვევაში.
თანამშრომლები, საშუალოდ, ხელმძღვანელობენ 1-3 დოქტორანტს, ამიტომ სამუშაო დატვირთვა გადანაწილებულია. სხვა ან საერთაშორისო უნვერსიტეტებთან ურთიერთობა არ არის ინტენსიური დოქტორანტების ხელმძღვანელობის ასპექტში (1 პროფესორი), თუმცა ეს ნებადართულია. უნივერსიტეტს ყავს ახალი მოწვეული თანამშრომლები, რომლებიც ახალ სტუდენტებს უხელმძღვანელებენ მომავალ წელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში • დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების მოსაზრებები • ინტერვიუები სტუდენტებთან • ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს • პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის CV-ები • სადოქტორო პროგრამისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებები • სტუდენტთა კონსულტაციების ცხრილი • ,,სტუდენტი- ხელმძღვანელი" სია • პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები:
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) უნივერსიტეტს ყავს ახალი მოწვეული პროფესორები ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი დონით ახალი სტუდენტების სწავლებისა და ხელმძღვანელობისთვის.
შეფასება O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთ	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკადემიური პერსონალის დასაქმების პროცესი შეესაბამება ყველა საკანონმდებლო მოთხოვნას.

პროგრამაში ჩართული სასწავლო პერსონალის რაოდენობა შეადგენს 6 აფილირებულ აკადემიურ თანამშრომელს, მათ შორის 4 სრული პროფესორია, 2 ასოცირებული პროფესორი, ასევე პროგრამას ჰყავს 5 მოწვეული თანამშრომელი (მათ შორის 1 მოწვეული უცხოელი ლექტორი), რომელიც საშუალოდ კვირაში 1 დღეს მუშაობს ამ უნივერსიტეტისათვის. რაც შეეხება პერსონალის/სტუდენტების თანაფარდობას, უნივერსიტეტის დოკუმენტაცია იძლევა ინფორმაციას ადმინისტრაციული და სასწავლო პერსონალის იმ რაოდენობაზე, რომელიც საჭიროა პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად 14/6- შესაბამისად.

რამდენადაც ამ სადოქტორო პროგრამის მთავარი მიზანია თეორიული და ანალიტიკური უნარების მქონე მკვლევარის მომზადება, პროგრამის აფილირებული და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს მისი ამოცანებისა და სწავლის შედეგების წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად. პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, პროგრამის თანამშრომლებს საკმარისი საგანმანათლებლო და კვლევითი გამოცდილება გააჩნიათ (მათ შორის პუბლიკაციები) ეკონომიკის სფეროში. ამასთან, შეინიშნება საერთაშორისო კონფერენციებსა და საერთაშორისო პუბლიკაციებში მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი უცხო ენების (ინგლისური) არასაკმარისი ცოდნის გამო.

პროგრამას უძღვება მოწვეული პროფესორების გუნდი (კვირაში 1 დღე) და აფილირებული პროფესორი (სრული განაკვეთი). პერსონალი ერთობლივად ახორციელებს კურსებს მოწვეულ, ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესორების გუნდთან ერთად. ამ პროგრამაში ინვესტიციის სურვილი, ისევე როგორც, ამ პროგრამის განხორციელება უდიდესი მნიშვნელობისაა უნივერსიტეტისთვის და ასევე რეგიონული განვითარებისთვის. პროგრამის დატვირთვა თანაბრად არის გადანაწილებული პერსონალზე და მაღალია პროგრამის შეთავაზების სურვილი.

რაც შეეხება სათანადო კომპეტენციის მქონე ადეკვატური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის უზრუნველყოფას, ადგილზე განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში სტუდენტთა ჯგუფთან ჩატარებული ინტერვიუებიდან გაირკვა, რომ საერთო ჯამში. კმაყოფილები არიან სტუდენტების დასახმარებლად პროგრამის პერსონალის ჩართულობით, ხელმისაწვდომობითა და მზაობით. სხვადასხვა შემთხვევებში, უნივერსიტეტი ასევე ასაქმებს მის კურსდამთავრებულებს სხვადასხვა პოზიციებზე სამუშაოდ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში (ინგლისური/ქართული ვერსია, pdf); • პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები: რეზიუმე, პუბლიკაციები, საკონფერენციო მასალები • პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე; • სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის რიცხოვნობის განსაზღვრის წესი. • საგანმანათლებლო პროგრამა, პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემა • ადმინისტრაციული და დამხმარე თანამშრომლების ხელშეკრულებები, მომსახურების მიწოდების რეგულაციები. • სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა • ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: • თუ განაცხადის საფუძველზე, არამარტო სტუდენტებს შეეძლებათ მიუთითონ თავიანთი კვლევის ინტერესი, არამედ პერსონალსაც ექნება საშუალება, გამოავლინოს საინტერესო თემები, რომლებიც რეგიონისთვის ღირებულია და გააჩნიათ სურვილი უხელმძღვანელონ ამ თემას, ახალი კვლევები უფრო სწრაფად შეძლებენ ფორმირებას. • იმისათვის, რომ დადასტურდეს უცხო ენის B2 დონის შესაბამისობა, როგორც სადოქტორო პროგრამაში ჩაბარების წინაპირობა, ასევე მიზანშეწონილი იქნებოდა აისახოს უცხო ენის ცოდნის აუცილებლობა პედაგოგიური პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამცხე – ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სადოქტორო პროგრამა, კერძოდ, აფასებს მის აკადემიურ / სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს, რეგულარულად აანალიზებს შეფასების შედეგებს. აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების ერთ – ერთი მეთოდი ეფუძნება „აკადემიური პერსონალის ყოველწლიურ მოხსენებას“, რომელიც ითვალისწინებს სამუშაო დატვირთვის ელემენტებს, და დამატებით ინფორმაციას შეფასების კრიტერიუმებისთვის, როგორიცაა: კონფერენციები, ტრენინგები, კვლევითი პროექტები და გამოცემა. ეს ინფორმაცია განთავსებულია აკადემიური / მოწვეული პერსონალის პირად ფაილებში. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ატარებს კვლევებს აკადემიური / მოწვეული პერსონალის შესახებ სემესტრულად. კვლევის შედეგების ანალიზის შემდეგ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი აკადემიურ პერსონალს ინდივიდუალურად აწვდის ინფორმაციას კვლევის შედეგების შესახებ. კვლევის შედეგების საფუძველზე, თითოეულ მათგანს ეძლევა რჩევა, რა სახის აქტივობას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. პროგრამაში ჩართული პერსონალის კმაყოფილების შესწავლა უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული მომსახურებების თაობაზე წარმოებს პერიოდულად. საჭიროებების შეფასება წარმოადგენს საქმიანობის / ტრენინგების / პროფესიული განვითარების შესაძლებლობების დაგეგმვის საფუძველს. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის მონაწილეობას Erasmus +– ის ქვეშ გამოცხადებულ აკადემიური პერსონალის მობილობაში, რაც გულისხმობს რამდენიმე კვირის განმავლობაში კონფერენციებში / ლექციებში მონაწილეობას და სხვა ტიპის ჩართულობას მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში. ამასთან, საერთაშორისო აქტივობებში ფაქტობრივი ჩართულობის მაჩვენებელი ძალიან დაბალია, როგორც უკვე აღინიშნა. ფაქტიურად, ინგლისური ენის ცოდნის არასაკმარისი დონე ართულებს ზემოხსენებული გეგმების განხორციელებას. საკითხის გადასაჭრელად, უნივერსიტეტმა ორგანიზება გაუკეტა უცხო ენების უფასო კურსებს პროფესორებისთვის და ლექტორებისთვის (ჯერჯერობით არსებითი მიღწევები არ არის).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში (ინგლისური/ქართული ვერსია, pdf);
- პერსონალის შეფასების დებულება (დანართი 17, ქართულ ენაზე)
- საქმიანობები, მიმართული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის (დანართი N 2 ,,სხვა დოკუმენტებში", ქართულ ენაზე)
- აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა;
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები
- MediPIET წლიური სამეცნიერო კონფერენცია:
- შიდა-საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია 2015, 2016
- ,,ეკონომიკა, ბიზნესი, მენეჯმენტი", ნაშრომთა კრებული 2013 წლიდან
- ERASMUS+ CBHE პროექტები:
- ჩატარებული გამოკითხვები (ანნეხ 1 ,,სხვა დოკუმენტებში", ქართულ ენაზე)
- გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთან, დოქტორანტებთან ადგილზე ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

პერსონალის პროფესიული განვითარება უნდა იქცეს პრიორიტეტად. იმისათვის, რომ კარგად ასწავლო სადოქტორო პროგრამაზე, თანამედროვე საერთაშორისო საკითხავი მასალების გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ პერსონალი დატრენინგდეს ამ საკითხში. კარგი იქნება პერსონალის მოტივაციის გაძლიერება და სტიმულირების (მათ შორის ფინანსური) მექანიზმების შექმნა ან პერსონალის მომზადება / გადამზადება და უნივერსიტეტში დასაქმებული მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის შენარჩუნება.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.3: მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამისთვის გამოიყო სასწავლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საკმარისი მატერიალური და ტექნიკური რესურსები.

უნივერსიტეტის შენობებს აქვთ სანიტარიულ-ჰიგიენური და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმები (დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, სადგამები და ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები); ევაკუაციის გეგმები ნაჩვენებია თითოეულ სართულზე. უნივერსიტეტის აუდიტორიები და კაბინეტები კარგად არის აღჭურვილი პროექტორებით და სხვა მოწყობილობებით, უზრუნველყოფილია უწყვეტი ელექტრომომარაგების სისტემა, Wi-Fi და ცენტრალური გათბობა. უნივერსიტეტს აქვს კომპიუტერული კაბინეტები, ასევე არის Wi-Fi ინტერნეტი.

პროგრამას მხარს უჭერს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა სასწავლო კუთხეებით და მდიდარი წიგნადი ფონდით. ბიბლიოთეკა აღჭურვილია ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერებით. ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდი უზრუნველყოფს ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის კურსების ძირითად და დამატებით ლიტერატურას. პროგრამის სილაბუსის შესაბამისად, ექსპერტთა გუნდმა, შერჩევითი შემოწმების საფუძველზე, დაადასტურა ბიბლიოთეკაში მითითებული ლიტერატურის არსებობა და მისი ხელმისაწვდომობა უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზებში, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ფორმით. აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის ადმინისტრაცია მზად არის შეიძინოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო ლიტერატურა და შეავსოს ბიბლიოთეკის ფონდი; ასევე მიმდინარეობს ბეჭდური მასალების დიგიტალიზაციის პროცესი. ჩატარებულია სამეცნიერო ბიბლიოთეკის სრული კომპიუტერული კატალოგიზაცია. 2017 წლის შემდეგ უსდ-ს ბიბლიოთეკას ხელშეკრულება აქვს ,,საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმთან და უფლებამოსილია გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები:

- კემბრიჯის ონლაინ ჟურნალები (https://www.cambridge.org/core)
- BioOne Complete (http://www.bioone.org/)
- დიუკის სამეცნიერო ჟურნალების კრებული (https://www.dukeupress.edu/)
- ედვარდ ელგარის გამომცემლობის ჟურნალები და განვითარების მეცნიერებები ელექტრონული წიგნები
- IMechE Journals (https://us.sagepub.com/en-us/nam/IMeche)
- Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (https://www.elgaronline.com/page/70/journals)
- ედვარდ ელგარის გამომცემლობის ჟურნალები და განვითარების მეცნიერებების ელექტრონული წიგნები (https://www.elgaronline.com/page/70/journals)
- Royal Society Journals Collection (https://royalsociety.org/journals/)
- SAGE Premier (https://us.sagepub.com/en-us/nam/sage-premier)
- ასევე EBSCO -ს მონაცემთა ბაზა

დოქტორანტებს აქვთ ინფორმაცია ხსენებული რესურსების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების წესების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვიზიტი უნივერსიტეტის ტერიტორიაზე (აუდიტორიები, კომპიუტერული კაბინეტები, საკონფერენციო ოთახები, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა)
- წვდომა საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზებთან;
- სავალდებულო და დამატებითი საკურსო მასალების შერჩევითი შემოწმება
- თვითშეფასების ანგარიში (ინგლისური/ქართული ვერსია, pdf);
- ინტერვიუ დოქტორანტებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- მიუხედავად იმისა, რომ საუნივერსიტეტო სივრცეში გამოყოფილია სპეციალური ადგილი სასადილოსათვის, იგი ჯერ კიდევ საჭიროებს აღჭურვასა და მოვლა-პატრონობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი ადმინისტრაციული პერსონალი მუშაობს ამ საკითხის მოგვარებაზე.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
დოქტორანტებისთვის უნივერსიტეტის შენობაში გამოყოფილია ფართი, სადაც შეუძლიათ წარმართონ თავიანთი კვლევითი საქმიანობა.

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

ი მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და ფინანსური სტაბილურობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგიონული მნიშვნელობის გამო, მისი პროგრამები ეკონომიკაში (როგორც ბაკალავრიატი, ასევე დოქტორანტურა) დაფინანსებულია საქართველოს მთავრობის მიერ. ამრიგად, პროგრამის განხორციელებისათვის გათვალისწინებული ფაკულტეტის ბიუჯეტი საკმარისია, რომ იგი ეკონომიკურად მდგრადი იყოს და შეესაბამებოდეს დოქტორანტურის პროგრამის საჭიროებებს. პროგრამის შემოთავაზებული ფინანსური გეგმა 2019 წლის ფაკულტეტის მთლიანი ბიუჯეტის ნაწილია. ბიუჯეტის შემუშავება ცენტრალიზებულია უნივერსიტეტში და პროგრამას უზრუნველყოფს საჭირო მატერიალური და ტექნიკური რესურსებით. ბიუჯეტი ასევე უზრუნველყოფს ფაკულტეტის ბიბლიოთეკის ახალი წიგნებით მომარაგებას; წვდომას საერთაშორისო ელექტრონულ რესურსებზე; პერსონალის კომპენსაციასა და სამოგზაურო ხარჯებს; რესურსებს კვლევითი საქმიანობის, აკადემიური სტატიებისა და ნაშრომების გამოქვეყნებისთვის. ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია მწირი იყო. ვიზიტის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ამჟამად პროგრამა მდგრადი არ არის. უნივერსიტეტი წლის განმავლობაში სწავლის გადასახადიდან აფინანსებს 1750 ლარს და სტუდენტი კი, იხდის 500 ლარს. პროგრამაზე უნდა ჩაირიცხოს 20 სტუდენტი, იმისთვის რომ პროგრამა გახდეს მდგრადი. პროგრამისთვის აუცილებელი ზღვრული ციფრია 20 სტუდენტი. ჩარიცხულია 12 პლიუს 2 მობილობით გადმოსული სტუდენტი. არ არის სტრატეგიული ხედვა ან გეგმა, თუ როგორ უნდა გაიზარდოს სტუდენტების რიცხვი 20-მდე. თუმცა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ნათლად გამოხატა თავისი სურვილი უფრო მეტი ინვესტიციის ჩადებაზე ამ პროგრამაში, რეგიონული მნიშვნელობიდან გამომდინარე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა • თვითშეფასების ანგარიში (ინგლისური/ქართული ვერსია, pdf); • პროგრამის ბიუჯეტის შედგენის წესები, პროგრამის ბიუჯეტი (დანართი 14, ქართულ ენაზე) პდფ, ექსელი • გასაუბრებები ფაკულტეტის/პროგრამის ადმინისტრაციასთან ვიზიტის დროს.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: პოტენციურად ეს შეიძლება იყოს ვარიანტი, რომ სასწავლო პროგრამა შეთავაზოთ არა სამ სტუდენტს ყოველწლიურად, არამედ 6 სტუდენტს- ორ წელიწადში ერთხელ. ეს გაანახევრებდა სწავლების ხარჯებს და ხალს შეუწყობდა სტუდენტებს შორის უფრო მეტ ურთიერთკავშირს, იმ წლის განმავლობაში.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ანალიტიკური უნარების განვითარებისადმი რეგიონული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ამჟამად, უნივერსიტეტი აფინანსებს სწავლის გადასახადის მნიშვნელოვან ნაწილს. ეს მიდგომა მისასალმებელია, იგი სწორად მოიხმარს თანხებს. შესაძლებლობების განვითარებას ხშირად დიდი დრო სჭირდება, ხოლო ადმინისტრაციის მიერ ამ პროგრამის მხარდასაჭერად გრძელვადიანი ვალდებულების აღება საშუალებას აძლევს პროგრამის გუნდს შეიმუშაოს კარგი პროგრამა.
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ი მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთ	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მომსახურებებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და პროგრამის განხილვას. შესაბამისი მონაცემები რეგულარულად გროვდება, ანალიზდება და გამოიყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის შესამუშავებლად.

5.1 შიდა ხარისხი
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით ”,” განათლების ხარისხის განვითარების კანონით”, აგრეთვე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის ნორმატიული და სამართლებრივი აქტებით. თვითშეფასების ანგარიშში აღწერილი ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებსა და ადგილზე განხორციელებულ ვიზიტსა და ინტერვიუებში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიური ჩართულობიდან მკაფიოდ ჩანს, რომ პროგრამის შემქმნელები მჭიდროდ თანამშრომლობენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. სადოქტორო პროგრამის შემუშავებაში ჩართულები არიან: აკადემიური პერსონალი, დოქტორანტები და დამსაქმებლები. მათი მონაწილეობა დასაბუთებულია სახელმწიფოს, შრომის ბაზრის, სტუდენტების, აკადემიური / მოწვეული პერსონალის და დამსაქმებელთა საჭიროებების კვლევით. კვლევის ადმინისტრირება ხორციელდება კითხვარის საშუალებით. ამ გამოკითხვების შედეგები პროგრამის დირექტორებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან თანამშრომლობით, შესაბამის მიმართულებებს აძლევს სასწავლო პროცესის გეგმის შემუშავებისთვის, ბაზრის საჭიროებებისა და სტუდენტების დამოკიდებულებების გათვალისწინებით, პროგრამის განვითარების მიზნებიდან გამომდინარე. ასევე, ხარისხის განვითარების სამსახური შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. რეკომენდაციები წარედგინება ფაკულტეტს და აკადემიურ საბჭოს. მიუხედავად ზემოხსენებული მექანიზმებისა და პროცედურებისა, მისი მცირე მასშტაბის გამო, რთულია შეაფასო მოცემული სადოქტორო პროგრამის ხარისხი. მიუხედავად იმისა, რომ დაინტერესებული მხარეები კმაყოფილნი არიან პროგრამის ხარისხით, მას ჯერ არ ყავს კურსდამთავრებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა ეკონომიკაში
- პროგრამის დიზაინი და შემუშავების მეთოდოლოგია (PDF, დანართი 8, ქართული)
- თვითშეფასების ანგარიში (ინგლისური/ქართული ვერსია, pdf);
- ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- სტუდენტური / აკადემიური პერსონალის / დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმები (კითხვარი)
- შედეგები, სტუდენტების ელექტრონული კვლევის ანალიზი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

პროგრამის ხარისხის უკეთ შეფასების მიზნით, გონივრული იქნებოდა კვლევის ეტაპზე დოქტორანტთა კეთილდღეობის შეფასების მექანიზმის შემუშავება და განხორციელება.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

5.2 ხარისხის გარე შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2014 წელს. მის განხორციელებამდე, აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია აისახა პროგრამაში.

პროგრამას ამჟამად არ აქვს სხვა ხარისხის გარე უზრუნველყოფის შეფასების მექანიზმი.

ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების გარდა, აუცილებელია დოქტორანტურის პროგრამის ხარისხის ამაღლებისთვის გარე შემფასებლების (მსგავსი პროგრამების უცხოელი პროფესორების და ა.შ.) მოსაზრებების, შენიშვნებისა და წინადადებების მიღება. ამგვარი კონსულტაციები პროგრამას მისცემს უპირატესობას განვითარებისთვის, როგორც დამატებითი უკუკავშირით, ასევე, მისი დიზაინის მორგებით საერთაშორისო სტანდარტებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა ეკონომიკაში
- თვითშეფასების ანგარიში (ინგლისური/ქართული ვერსია, pdf);
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები (პდფ, დანართი 17, ქართულ ენაზე)
- ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

- უნდა დაინერგოს გარე უკუკავშირი, როგორც გარე ხარისხის უზრუნველყოფის საშუალება.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემატური შეგროვებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით, როგორც ეს 5.1 სტანდარტშია ნახსენები.

აკადემიური პერსონალის მონიტორინგი ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის გრაფიკის შესაბამისად (სწავლებისა და კვლევის ხარისხი, საერთაშორისო მობილობის ტემპი და ა.შ.). დატვირთვის სქემა შექმნილია ავტორიზაციის / აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. ამ სქემის მიხედვით, პერსონალი წარადგენს წლიურ ანგარიშს. ყოველი სემესტრის განმავლობაში, სტუდენტები ავსებენ კითხვარს სასწავლო კურსების შესაფასებლად. პროგრამის ცვლილებები / ადაპტაცია ხორციელდება კვლევის შედეგების ანალიზისა და აკადემიური / მოწვეული პერსონალის წლიური ანგარიშის საფუძველზე.

პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან ხორციელდება პერიოდულად, მისი თანამედროვე მოთხოვნების და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა ეკონომიკაში
- პროგრამის დიზაინი და შემუშავების მეთოდოლოგია (PDF, დანართი 8, ქართული)
- თვითშეფასების ანგარიში (ინგლისური/ქართული ვერსია, pdf);
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები (პდფ, დანართი 17, ქართულ ენაზე)
- ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- სტუდენტური / აკადემიური პერსონალის / დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმები (კითხვარი)

რეკომენდაციები:

- ვინაიდან სადოქტორო პროგრამას 5 წლის განმავლობაში არ ჰყავს კურსდამთავრებული, წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები, უნდა შემუშავდეს ხელახლა და გაძლიერდეს პროგრამის შედეგების უზრუნველსაყოფად.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთ	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სწავლების ხარისხის განვითარების		X		

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

სადოქტორო პროგრამა ეკონომიკაში

ანგარიშის გვერდების რაოდენობა: 30

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთ	მეტწილად შესაბამისობ აშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

მინდელ ვან დე ლაარი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

მაია ბარამიძე

ნანა ფირცხელანი